საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №121/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 01 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 სექტემბრის №121/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მხრიდან საქმის განხილვის გაჭიანურებაზე, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების მიუღებლობაზე, რასაც ითხოვს 2018 წლის თებერვლის ბოლოდან. საჩივრის ავტორის თქმით, მოსამართლის თანაშემწის უშედეგო დაპირებების მიუხედავად, დღემდე (01/05/2018) განჩინება არ გადასცემია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2018 წლის 19 თებერვალს წარადგინა სააპელაციო საჩივარი, -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

-- საქმე -- -- სააპელაციო საჩივართან ერთად -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018

წლის 02 მარტს.

საქმის შემთხვევითი განაწილების პრინციპით, -- -- სააპელაციო საჩივარი მოსამართლე -- -- დაეწერა 2018 წლის 02 მარტს.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 12 მარტის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი, გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2018 წლის 12 მარტის განჩინების ასლი -- -- წარმომადგენელს -- -- გაეგზავნა 2018 წლის 14 მაისს (ჩაიბარა - -- --). აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ივლისის განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2.2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- სააპელაციო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 430 საქმე, საიდანაც დასრულდა - 301 საქმე (70%), ხოლო 2018 წლის (01/01/2018 – 01/09/2018) მდგომარეობით განსახილველად ეწერა 349 საქმე, საიდანაც დასრულდა - 194 საქმე (56%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საჩივრის ავტორი მიუთითებს სასამართლოს მხრიდან სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გადაუცემლობაზე.

აღსანიშნავია, რომ კანონი აგრეთვე არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებაში, შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს არის თუ არა საუბარი სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან დაუდევრობაზე, ან უგულისყურო შესრულებაზე, სისტემატიურად და არასაპატიო მიზეზით, რასაც იზიარებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და სადისციპლინო პრაქტიკა (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, მაკედონია და ა.შ.).

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს

კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- განჩინება მიიღო კანონით დადგენილ 10 დღიან ვადაში - 2017 წლის 12 მარტს, შესაბამისად, განჩინების მიღებიდან მე-14 დღედ უნდა ჩაითვალოს 2018 წლის 26 მარტი, რა პერიოდიდანაც, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს უნდა გაგზავნოდა 5 დღის განმავლობაში. აღნიშნულის ნაცვლად, აპელანტის წარმომადგენელს განჩინება გაეგზავნა 2018 წლის 14 მაისს.

ზემოხსენებულ საკითხებზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და სადისციპლინო პრაქტიკაზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს, აგრეთვე მნიშვნელოვანია, დარღვეულ საპროცესო ვადასთან

მიმართებაში გათვალისწინებული იყოს განჩინების მხარისათვის ჩაუბარებლობის ხანგრძლივობა (განჩინების მომზადებისა და გაგზავნის დაგვიანების პერიოდმა შეადგინა - 01 თვე და 14 დღე) და მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე და დატვირთულობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, განჩინების კანონით დადგენილ ვადაში მხარისათვის გაგზავნის ვადის დარღვევა, დარღვეული ვადის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გამოწვეული იყო მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლით, რასაც არ მოჰყოლია მხარის ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რაც კონკრეტული შემთხვევის დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევისთვის ერთ-ერთ არსებით ელემენტს წარმოადგენს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრთაგან 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №121/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი